

შპს “ლილო მოლი“

მმართველობითი ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი	1
მმართველობითი ანგარიშგება	3-61

დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი შპს “ლილო მოლი”-ის მფლობელებსა და მენეჯმენტს

ბატონებო,

თქვენი 2018 წლის 5 ოქტომბერს დათარიღებული მმართველობის ანგარიშგების, საპასუხოდ:

გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ:

1. კომპანიამ, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების შემდგომ, მოამზადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
2. ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიძინებია რაიმე არსებითი შეუსაბამოები რაც მიგვანიშნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აბზაცებთან, რომელიც მიჰნავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს, ერთად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7-პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს

მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და იმისონფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციას
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის სხვა საკითხებს (იმ შემთხვევაში თუ რელევანტურია კომპანიისთვის).

აუდიტორის პასუხიშეგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენ, 2018 წლის 3 ოქტომბერს გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

5 ოქტომბერი 2018 წელი

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და იმისონფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციას
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის სხვა საკითხებს (იმ შემთხვევაში თუ რელევანტურია კომპანიისთვის).

აუდიტორის პასუხიშეგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისშეგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენ, 2018 წლის 3 ოქტომბერს გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

5 ოქტომბერი 2018 წელი

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე



შ.პ.ს „ლილო მოლი“-ს
მმართველობითი ანგარიშგება

5 ოქტომბერი 2018



მმართველობითი ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- საქმიანობის განვითარების, შედეგების და მდგომარეობის აღწერა
- ფილიალების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია
- კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები
- აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
- წლიური ფინანსური ანგარიშგება ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები
- ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

„ლილომოლოს“ საქმიანობის მიმოხილვის სარჩევი

- საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა
- სამსახურის სტრუქტურა
- წარმოებული კვლევები და განვითარების მიმოხილვა
- კონკურენტები
- ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ
- შვილობილი კომპანიები
- კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა
- სუბიექტის განვითარების გეგმები
- ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად
- საკრედიტო , საბაზრო ლიკვიდურობის და ფინანსური ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ.
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია
- აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
- წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები
- ძირითად რისკები და გაურკვევლობები სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

ძვირფასო საზოგადოებავ,

კომპანია „ლილომოლი“ უკვე 27 წელია ინარჩუნებს ამიერკავკასიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საბითუმო და საცალო სავაჭრო ცენტრის სტატუსს. პირველ ყოვლისა, ეს ჩვენი ერთგული, მიზანდასახული თანამშრომლების და მეწარმეების დამსახურებაა, რომელთაც გაწეული სამსახურისთვის საჯაროდ ვუხდი მადლობას.

2017 წელს „ლილომოლი“ სიხლეებით შეხვდა, შევქმენით ლილომოლის ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია სისტემატურად ახლდება. სოციალური ქსელის ეპოქაში არც ჩვენ ჩამოვრჩით სხვა წამყვან კომპანიებს და განვლილ წელს შევქმენით ლილომოლის ოფიციალური გვერდი სოციალური ქსელში, რასაც დიდი და დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ამ სფეროში ჩვენი გამოჩენა და გააქტიურება ნათელი მაგალითია იმისა, რომ თქვენ წინაშე სიახლეზე ორიენტირებული და გარემოსთან ადაპტირებული კომპანიაა.

2017 წელს აღსანიშნავია „ლილომოლის“ მეიჯარეების ქონების თითქმის 100 % - იანი დაზღვევა, რამაც შეამცირა რისკფაქტორები და გაამყარა „ლილომოლის“ პოზიციები ბაზარზე.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2017 წელს ისევე, როგორც წინა წლებში, ბევრი სხვა სავაჭრო კომპანია ცდილობდა, დაეპყრო ჩვენი პოზიციები ქართულ ბაზარზე, მაგრამ, წარმატებული მუშაობის წყალობით, ჩვენ 2017 წელსაც შევინარჩუნეთ დარგის ლიდერობა და ყველა ჩვენი ეგრეთ წოდებული კონკურენტი, ფაქტობრივად, ჩვენს „პარტნიორებად“ ვაქციეთ. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ დღემდე საქართველოში არსებული ყველა პატარ-პატარა სავაჭრო ობიექტი სწორედ „ლილომოლი“ს პროდუქციით მარაგდება.

დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევა და რთული ამოცანების გადაჭრა კომპანიას საშუალებას მისცემს, მომდევნო წლებში შეასრულოს კომპანიის განვითარების გენერალური გეგმა, რაც გულისხმობს: საგანგებო სიტუაციების სამსახურის ახალი ცენტრისა და სარკინიგზო ჩიხის მშენებლობას, საბითუმო სექტორის რეკონსტრუქციას, ახალი საპარკინგე ადგილების შექმნას, სასაწყობე მეურნეობის გაზრდას და სხვ.

2016 წელს მიღწეული შედეგები გვარწმუნებს, რომ ხელსაყრელ გარემოებებში კომპანია შეძლებს მიზანდასახულად და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით განაგრძოს გზა წარმატებისა და განვითარებისაკენ.



საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

კომპანია “ელსავაკო”, ახლა კი - უკვე “ლილომოლი” დაარსდა 1991 წელს. ეს იყო პირველი კომერციული ცენტრი, რომელმაც მიიღო ხელისუფლების ოფიციალური ნებართვა სამეწარმეო საქმიანობაზე.

წლების განმავლობაში “ლილომოლის” პროდუქციით მარაგდება არა მარტო საქართველოს რეგიონები, არამედ ამიერკავკასიის ქვეყნების დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა რეგიონული კონფლიქტები მოუგვარებელი იყო.

„ლილომოლმა“ მუშაობა მაშინ დაიწყო, როცა ქვეყანაში უკიდურესად მძიმე ვითარება გახლდათ როგორც ეკონომიკური, ისე - პოლიტიკური თვალსაზრისით. მაშინდელი „ლილოს ბაზრობა“ თვითგადარჩენის სამოქალაქო ბიზნესარეალად იქცა. სამეწარმეო საქმიანობაში ჩაერთვნენ დამოუკიდებელი სუბიექტები, რომლებსაც „ლილოს ბაზრობის“ ადმინისტრაციამ საკუთარ ბიზნესის დამოუკიდებლად მართვის საშუალება მისცა.

მეწარმეები თავად განსაზღვრავენ პროდუქტის ფასს და ადმინისტრაციის მიერ მათთვის მიწოდებული სერვისიც შესაბამისი ტარიფების რეინჯს ექვემდებარება. წლების განმავლობაში პროცესების თვითდინებით მიმდინარეობამ ლილოს განვითარების გეგმებიც მეწარმეების ყოველდღიურ მოთხოვნებს შეუსაბამა.

„ლილომოლის“ დღევანდელი ინფრასტრუქტურული გარემო განაპირობა მეწარმეების ინტერესებმა, რადგან თუ ადმინისტრაცია მათი მომსახურების დონეს აამაღლებს და მეტ კომფორტს შესთავაზებს, მაშინ მეწარმე ვალდებული იქნება, ფასი გაზარდოს პროდუქტზე, რაც საბოლოოდ წამგებიანად აისახება როგორც მეიჯარესა და ადმინისტრაციაზე, ისე - მომხმარებელზე.


სწორედ ამიტომ უკვე 27 წელია, ერთმანეთის ინტერესების და პარტნიორული შიდაპოლიტიკის გათვალისწინებით, „ლილომოლი“ წარმატებულ და უკონკურენტო ბიზნესსაქმიანობას განაგრძობს.

ამჟამად „ლილო მოლი“ 35 ჰექტარზე გაშენებულ ი ამიერკავკასიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სავაჭრო ცენტრია, როგორც საცალო, ისე - საბითუმო ვაჭრობის სფეროში. ის ახორციელებს კომერციული ცენტრის მენეჯმენტს, რაც, ძირითადად, მის საკუთრებაში არსებული სავაჭრო ფართების იჯარით გაცემით გამოიხატება. ამჟამად „ლილომოლის“ ტერიტორიაზე 6059 მაღაზია მოქმედებს.

მეწარმეთა ის კონტინგენტი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობითაა დაკავებული, დაკომპლექტებულია მრავალეთნიკური ჯგუფებით. მრავალფეროვანია ის პროდუქციაც, რომლის საცალო და საბითუმო რეალიზაციაც ხორციელდება სავაჭრო ცენტრში.



სტრუქტურა





წარმოებული კვლევები და განვითარების მიმოხილვა

20 წლის იუბილე

20 წლის იუბილესთან დაკავშირებით, განხორციელდა კომპანიის სრული რებრენდინგი: კონკურსისი წესით შეირჩა

- კომპანიის სახელწოდება
- ლოგო
- კორპორატიული სტილი
- საზეიმოდ გაიხსნა კომპანიის ადმინისტრაციული შენობა და მონუმენტი



20 წლის იუბილეს შემდგომ განახლებული ოფისით, მეტი პასუხისმგებლობით და მაღალი კორპორატიული თვითშეგნებით, “ლილო მოლმა” კიდევ უფრო სწრაფად და მიზანმიმართულად აიღო განვითარებისა და თანამედროვე სავაჭრო ცენტრის აღმშენებლობის გეზი.

“ლილომოლის” ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 112 - საგანგებო სიტუაციების სააგენტო, სამედიცინო პუნქტი, სახანძრო, გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახური, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს „ლილომოლის“ მაღალ პასუხისმგებლობას.



„ლილო მოლი“ – ბიზნესასოციაციის წევრი


“ლილომოლი” 2011 წელს საქართველოს ბიზნესასოციაციის - იმ ორგანიზაციის წევრი გახდა, რომელიც 70-მდე წამყვან კომპანიას აერთიანებს. მისი მთავარი დანიშნულებაა წევრი კომპანიების ლეგიტიმური და ობიექტური ბიზნესინტერესების წარდგენა ხელისუფლების წინაშე.

“ლილომოლის” გენერალური დირექტორი, ბატონი გიორგი კვარაცხელია, სხვა წამყვან ბიზნესმენებთან ერთად საქართველოს ბიზნესასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

ვებგვერდის და მობილური აპლიკაციის შექმნა

25 წლის იუბილესთან დაკავშირებით, განახლდა “ლილომოლის” ვებგვერდი და დამზადდა მობილური აპლიკაცია, რომელიც გაამარტივებს “ლილომოლის” მომხმარებელთა შოპინგს და გადაადგილებას.

გარდა მომხმარებლისა, ვებგვერდი კომფორტულია მოლის მეწარმეებისთვისაც, რომლებსაც საიტის ფუნქციონალი საშუალებას აძლევს, მეტი კომუნიკაცია დაამყარონ მომხმარებელთან, მეტად წარმოაჩინონ თავიანთი პროდუქტი, წარმოადგინონ განაცხადი აღრიცხვიანობასთან დაკავშირებით და სხვ.



„დარგის ლიდერი 2016“

ნაციონალურმა ბიზნესრეიტინგმა კომპანია “ლილომოლი” საერთაშორისო სერტიფიკატით დააჯილდოა და “დარგის ლიდერი 2016”-ად გამოაცხადა.

ეს უფრო მეტ სტიმულს და მოტივაციას მატებს მოლს, იყოს მზარდი და განვითარებაზე ორიენტირებული კომპანია.



ხარისხის ნიშნის სერთიფიკატი

„ლილომოლი“ დაარსების დღიდანვე ზრუნავს ხარისხის ამაღლებაზე და საამისოდ არაერთ ღონისძიებას ატარებს.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შეფასების მიზნით, აუდიტი განხორციელდა, და ევროპის ხარისხის ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ფარგლებში კომპანია “ლილომოლს” ხარისხის ნიშნის სერთიფიკატი გადაეცა .





წარმოებული კვლევები

ვიზიტორების სტატისტიკის კვლევა

საცალო ვაჭრობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სექტორია, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში ზრდის ტემპით გამოირჩევა. ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი 2012-2016 წლებში 8% შეადგინა.


აღნიშნული სექტორის ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშეა „ლილომოლი“. ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა სავაჭრო ობიექტის სტუმრები არიან საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული ბითუმად მოვაჭრე მცირე მეწარმეები, ასევე - საცალო მოხმარების პროდუქტის შეძენის მოსურნე ფიზიკური პირები.

2016 წლის სექტემბრიდან 2017 წლის აგვისტომდე „ლილომოლს“ 3 784 286 ადამიანი ესტუმრა: აქედან - საკუთარი ავტომობილით - 2 199 350, სამარშრუტო ტაქსით კი - 584 936. ამას ერთვის „ლილომოლის“ იმ მოიჯარეთა რაოდენობაც, რომლებიც სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით მოდიან სამუშაო ადგილებზე, რაც თვის განმავლობაში, დაახლოებით, 330 000 ვიზიტია.


კვლევა ჩატარდა 2016 სექტემბრიდან 2017 წლის პერიოდში. მომზადებულია კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია „Star – Business Solutions“- ის მიერ.

2016 წლის სექტემბრიდან 2017 წლის აგვისტომდე „ლილომოლს“ 3 784 286 სტუმარი ეწვია: აქედან - საკუთარი ავტომობილით - 2 199 350, სამარშრუტო ტაქსით კი - 584 936. ამას ერთვის „ლილომოლის“ იმ მოიჯარეთა რაოდენობაც, რომლებიც სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით მოდიან სამუშაო ადგილებზე, რაც თვის განმავლობაში, დაახლოებით, 330 000 ვიზიტია.

წელიწადში ვიზიტორების რაოდენობა
სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით




„ლილომოლის“ ვიზიტორები



კვლევა ჩატარდა 2016 სექტემბრიდან 2017 წლის პერიოდში. მომზადებულია კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია „Star – Business Solutions“-ის მიერ.

„ლილომოლის“ ტერიტორიაზე მომხმარებლები ერთი ვიზიტის განმავლობაში, საშუალოდ, 1-დან - 3 საათამდე ჩერდებიან, ამასთან, ყველაზე „აქტიური“, ე.წ. საბითუმო დღეებია: ორშაბათი, კვირა, ხუთშაბათი. როგორც გრაფიკიდან ჩანს, საბითუმო დღეებში, სტანდარტულ დღეებთან შედარებით, მომხმარებლების რაოდენობა თითქმის ორმაგდება.




კვლევა ჩატარდა 2016 სექტემბრიდან 2017 წლის პერიოდში. მომზადებულია კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია „Star – Business Solutions“-ის მიერ.

„ლილომოლის“ მომხმარებლის კვლევა

ჩატარდა თბილისის სავაჭრო ცენტრების მომხმარებლების რაოდენობრივი კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 400-მა რესპონდენტმა. გამოკითვის შედეგად, დადგინდა, რომ მათი უმრავლესობა - 70 % - ერთხელ მაინც ყოფილა „ლილომოლში“ სხვადასხვა ნივთის შესაძენად.

კვლევამ დაადგინა, რომ ვიზიტორების 64% დასაქმებულია და მათ აბსოლუტურ უმრავლესობას - 94% - სტაბილური შემოსავალი აქვს.




კვლევა ჩატარდა 2016 სექტემბრიდან 2017 წლის პერიოდში. მომზადებულია კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია „Star – Business Solutions“- ის მიერ.

მომხმარებლის სტატისტიკის კვლევა


გამოკითხულთა უმრავლესობა - 45% - ძირითადად, ოჯახთან ერთად ეწვევა ხოლმე „ლილომოლს“.

გამოკითხულთა 75% მიიჩნევს, რომ „ლილომოლში“ ივლიდა სხვადასხვა პირობის გაუმჯობესების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ის მომხმარებლები - 43% -, რომლებიც „ლილომოლში“ სტუმრობაზე უარს აცხადებენ, მთავარ მიზეზად ადგილმდებარეობას და ტრანსპორტთან დაკავშირებულ პრობლემას ასახელებენ.

ძირითადად, ვისთან ერთად დადიხართ სავაჭრო ცენტრში?



„ლილომოლში“ ვივლიდი, თუკი:



კვლევა ჩატარდა 2016 სექტემბრიდან 2017 წლის პერიოდში. მომზადებულია კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია „Star – Business Solutions“-ის მიერ.



კონკურენტი

ბაზრობები

“ლილომოლს” რეალურად პირდაპირი კონკურენტი არ გააჩნია, რადგან თბილისში არსებული სხვა ბაზრობები ბევრ პროდუქტს ბითუმად სწორედ „ლილომოლში“ ყიდულობენ და შემდგომ თავიანთ ლოკაციებზე ახორციელებენ მათ რეალიზებას.

სამშენებლო სექტორიდან „ლილომოლის“ მთავარ კონკურენტად „ელიავას ბაზრობა“ მოიაზრება, რომელიც, ტერიტორიული ადგილმდებარეობისა და მხოლოდ ვიწრო სექტორის დაკმაყოფილების თვალსაზრისით, შესაძლოა, უფრო მოსახერხებელი იყოს მომხმარებლისთვის.

იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ხსენებული ბაზრობები „ლილომოლში“ ნაყიდი პროდუქტით მარაგდება, მოლის ეგრეთ წოდებული კონკურენტები, შესაძლოა, პარტნიორებადაც კი მოვიხსენიოთ.

მოღვბი

“ლილომოლის“ რეალური არაპირდაპირი კონკურენტებია „ჰუალინგ თბილისის ზღვის პლაჟა“ და „ისთ ფოინთი.“ კონკურენტუნარიანობა გულისხმობს ამ მოღვბის ადგილმდებარეობას.

რაც შეეხება „თბილისიმოლს“ და „გალერია თბილისს“: ეს მოღვბი „იბირებენ“ იმ საშუალოშემოსავლიან სეგმენტს, რომლის წარმომადგენლებიც უპირატესობას ბრენდს ანიჭებენ, და არა - ფასს. დანარჩენი ორგანიზაციები - „გლდანიმოლი“, „ქარვასლა“ - ადგილმდებარეობისა და პროდუქტის თვალსაზრისით, შესაძლოა, არა - კონკურენტებად, არამედ „პარტნიორებად“ მოვიაზროთ.

კონკურენტუნარიან გარემოსთან ადაპტირება

ბოლო პერიოდში განვითარებული მსოფლიო მოვლენები და ონლაინმაღაზიების ბუმი წარმოქმნის ცალკეულ სავაჭრო ცენტრებში მომხმარებლის დაკარგვის რისკს. სწორედ ამიტომ, „ლილომოლმა“ შექმნა კომპანია „ლილოშოპი“, რომელიც „ლილომოლის“ პროდუქციის ონლაინშესყიდვის საშუალებას იძლევა.

განვითარების და კონკურენტუნარიანობის შეფასების გათვალისწინებით, მოლის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, „ლილოშოპი“ დამოუკიდებელ სუბიექტად ჩამოყალიბდა, თუმცა რეალურად, როგორც - „მეკავშირე საწარმო“, ასრულებს მენეჯმენტის მიზნებს ახორციელებს.

ზემოთ ჩამოთვლილი არაპირდაპირი კონკურენტებიდან გამომდინარე, აუცილებელია, ლილო მოლმა სამომავლოდ გაითვალისწინოს შემდეგ პუნქტების მნიშვნელობა:

- მომხმარებლის ლოიალურობის ამაღლება
- ინფრასტრუქტურის მუდმივ განახლებაზე ზრუნვა
- პროდუქტების მრავალფეროვანი არჩევანისა და ფასის შენარჩუნება
- წინასწარ დაგეგმილი ეფექტური ღონისძიებების განხორციელება




ინფორმაცია ფილიალების შესახებ

**შენიშვნა: ლილო მოლს არ გააჩნია ფილიალები და შესაბამისად მმართველობით ანგარიშგებაში არ არის
განხილული ეს პუნქტი**



შვილობილი კომპანიები





ლილო პროდაქტ სერვისი
Lilo Product Service

“ლილო პროდაქტ სერვისი” - ეს არის კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვების კომპლექსურ, სწრაფ და მარტივ მართვას. ის „ლილომოლმა“ საკუთარ მეწარმეთა ხელშესაწყობად დაარსა.

“ლილო პროდაქტ სერვისი” თანამშრომლობს იმ ქვეყნების ფაბრიკებთან, როგორებიცაა: თურქეთი, ჩინეთი და ინდოეთი. „ლილო პროდაქტ სერვისი“ მომწოდებლისა და დამკვეთის შუამავალი რგოლია, რომელიც ცდილობს მჭიდრო თანამშრომლური ურთიერთობის დამყარებას და განვითარებას. ამას გარდა, კომპანია მნიშვნელოვანი გარანტორის როლსაც ითავსებს შესყიდვების პროცესში.

კომპანიის სერვისი გულისხმობს ბაზრის მუდმივ კვლევას, სხვადასხვა მომწოდებლის მოძიებას და მათთან დაკავშირებას, ახალი პროდუქტის მოძიებას, რომლის ხარისხიც შესყიდვამდე მოწმდება. ამის შემდეგ პროდუქტი მიეწოდება უშუალოდ მომხმარებელს სასურველი ხარისხის, დიზაინის და ფასის გათვალისწინებით. „ლილო პროდაქტ სერვისი“ უზრუნველყოფს პროდუქტის ბრენდირებას, ტრანსპორტირებას და სასურველ ვადაში პროდუქციის მიწოდებას. კომპანია ემსახურება როგორც ფიზიკურ, ისე - იურიდიულ პირებს. მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს: სასტუმროებს, რესტორნებსა და ბარებს, სამედიცინო სექტორს.



ლილო კაპიტალი
LILO CAPITAL

“ლილო კაპიტალის” საქმიანობა, ძირითადად, გულისხმობს “ლილომოლის” მეწარმეების ფინანსურ დახმარებას მაქსიმალურად დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

“ლილო კაპიტალის” დახმარებით, მეწარმე ადგილზე იღებს 10 დღიან უპროცენტო განვადებას, რაც მას საშუალებას აძლევს, ტვირთის ტრანსპორტირების საფასური გადაიხადოს 10 დღის განმავლობაში, სამეწარმეო საქმიანობის დაწყების შემდეგ. ეს, თავის მხრივ, მეწარმეებს პროდუქტიულ მუშაობას უმარტივებს და დიდი შელავათია.

გარდა ამისა, „ლილო კაპიტალის“ მეშვეობით, „ლილომოლის“ მეწარმე ბიზნესესებს იღებს. „ლილოკაპიტალს“ საქართველოს ფოსტასთან აქვს გაფორმებული „ფაქტორინგის“ (მოთხოვნის დათმობის) ხელშეკრულება, რაც ითვალისწინებს, ტრანსპორტირების თვალსაზრისით, მეწარმეების ვალდებულების ერთიან გასწორებას ფოსტის წინაშე და ამ ვალდებულების ადმინისტრირებას.

“ლილო კაპიტალის” მომხმარებლების რიცხვი ყოველთვიურად იზრდება.



2016 წლის 19 მაისს, 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გაიხსნა „ლილომოდის“ შვილობილი კომპანია - “ლილო ტვ”.

“ლილო TV”-ის მეშვეობით, მომხმარებელს საშუალება ეძლევა, თვალი ადევნოს “ლილომოდში” მიმდინარე მოვლენებს, უყუროს გასართობ-შემეცნებით გადაცემებს და შინიდან გაუსვლელად შეარჩიოს “ლილომოდში” წარმოდგენილი მრავალფეროვანი პროდუქცია.

2018 წლის სექტემბრიდან ლილო TV ახალ განსხვავებულ სეზონს იწყებს და მაყურებელს ბევრ საინტერესო შემეცნებით -გასართობ გადაცემას ჰპირდება.

ლილო ჩარტერი

„ლილო ჩარტერი“ „ლილომოლის“ შვილობილი კომპანიაა.

ლილო ჩარტერს აქვს პირველი კატეგორიის ავტოსადგურის ლიცენზია.

“ლილო ჩარტერი“ არეგულირებდა რაიონებიდან ტრანსპორტის და მგზავრების მომსახურეობას ლილო მოლის ტერიტორიაზე.



კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა



„ლილომოლმა“ მონაწილეობა მიიღო მწერალთა
სახლის რეაბილიტაცია-აღდგენაში.



„ლილომოლმა“ ხურვალეთის მოხუცებულთ თავშესაფარს
საახალწლო საჩუქრები გადასცა.



„ლილომოლმა“
სოციალურად დაუცველ ოჯახს ბინა შეუძინა.



„ლილომოდმა“ პანკისში საბავშვო ბაღი გახსნა.



„ლილომოდმა“ უსაფრთხოების სამსახურის
თანამშრომლები დააჯილდოვა.



„ლილომოდმა“ 13 ივნისის სტიქიისას
დაზარალებულებს დაეხმარა.



აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

აუცილებელი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2017 წელს შ.პ.ს „ლილო მოლი“-ს წლიური შემოსავალი 2016 წელთან შედარებით გაიზარდა. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლის ზრდა კი კომპანიას საშუალებას აძლევს, ოპტიმისტურად განეწყოს მოლის სამომავლო გეგმების შესასრულებლად.

2017	თანხა
საერთო მოგება	31,3 მლნ
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	21,8 მლნ
წმინდა მოგება	21,5 მლნ

2016	თანხა
საერთო მოგება	28,4 მლნ
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	16,6 მლნ
წმინდა მოგება	14,97 მლნ

აუცილებელი ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

აუცილებელ ძირითად არაფინანსურ მაჩვენებელთა თვალსაზრისით, ხაზგასასმელია „ლილომოლის“ ვებგვერდისა და სოციალური ქსელის გააქტიურება.

სოციალურ ქსელში მომხმარებლისთვის მომზადებულმა სპეციალურმა ვიდეორგოლებმა, რომლებიც „ლილომოლის“ ტერიტორიაზე ვაჭრობას ამარტივებს, მომხმარებელთა ზრდა გამოიწვია.

2016 წელს თუ სოციალურ ქსელში 32 000 „მომყოლი“ გვყავდა,
2017 წლის ბოლოს მათი რიცხვი 100 000 მდე გაიზარდა და
2018 წლის სექტემბრის თვეში გვერდს უკვე 132 000 მომხმარებელი ჰყავს.

ინტერნეტაპლიკაციის და ვებგვერდის განვითარებამ ხელი შეუწყო მომხმარებლებისთვის კომფორტული გარემოს შექმნას.

წლიურ ფინანსურ
ანგარიშგებაში ასახული
თანხების შესახებ დამატებითი
განმარტებები

შენიშვნა: წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები დეტალურად ნაჩვენებია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ანალიზში.



სუბიექტის განვითარების გეგმები

სარკინიგზო ჩიხი

„ლილომოლი“ გეგმავს სარკინიგზო ჩიხის მშენებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს მეწარმეების საქმიანობის განვითარებას.

სატვირთო მატარებლები პირდაპირ შემოვლენ ტერმინალის ტერიტორიაზე და პროდუქტიც მარტივად გადანაწილდება საწყობებში.

სარკინიგზო ჩიხის მშენებლობა „ლილომოლის“ ტერიტორიაზე ხელს შეუწყობს იმპორტის წახალისებას.

ახალი პარკინგი

ვიზიტორების გამოკითხვამ და ყოველდღიურმა ვითარებამ მოლის ადმინისტრაციას ნათლად დაანახა ახალი პარკინგის აშენების აუცილებლობა.

მომდევნო წელს დაგეგმილია ტერმინალთან ახალი პარკინგის აშენება, რაც, საბოლოოდ, ძალიან დაეხმარება მომხმარებელს, უფრო მარტივად მოძებნოს საპარკინგე ადგილი.

სასაწყობე მეურნეობის გაზრდა

განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გახშირდა სამეურნეო-სასაწყობე მომსახურების მოთხოვნა. სწორედ ამიტომ მომდევნო 2 წლის გამწვანებაში იგეგმება სასაწყობე ტერიტორიის გაზრდა, რომელიც 20 000 კვ.მ-ზე გაშენდება.

საბითუმო სექტორის რეკონსტრუქცია

საბითუმო სექტორი „ლილომოლის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი მეშვეობით მარაგდება საქართველოს სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულება.

სამწუხაროდ, დღესდღეობით საბითუმო სექტორის მდგომარეობა აღარ შეესაბამება შესაბამის მოთხოვნებს და საჭიროებს სტრუქტურულ განახლებას. მომდევნო წლიდან იგეგმება საბითუმო სექტორის სრული რეკონსტრუქცია.

ტერიტორიის კამერიზაცია

„ლილომოლის“ ტერიტორიაზე იგეგმება 500
სამეთვალყურეო კამერის დამონტაჟება, რომელთა მუშაობასაც
დაცვის სამსახური გააკონტროლებს.

ტერიტორიის კამერიზაცია ხელს შეუწყობს „ლილომოლში“
მეწარმეებისა და ვიზიტორებისთვის უსაფრთხო გარემოს
შექმნას. კამერების საშუალებით ყველაფრის კონტროლი
გამარტივდება და, შესაბამისად, კრიმინალური შემთხვევების
რიცხვიც (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირდება.

საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი

„ლილომოლის“ ტერიტორიაზე შენდება საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი, სადაც მოთავსდება მონიტორები და გაკონტროლდება ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში დამონტაჟებული კამერები.

საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში მუდმივად მობილიზებული იქნება სახანძრო და დაცვის სამსახური, ასევე განთავსდება მედპუნქტი.



ლილოშოპ.ჯი

“ლილოშოპის” ონლაინ მაღაზია LILOSHOP.GE- 2018 წლის 1 ივლისს გაიხსნება. ელექტრონული „ლილოშოპი“ სასურველი ნივთის შეძენისას დაგაზოგინებთ დროსა და ენერგიას.

საიტზე იმოქმედებს დაგროვების სისტემა. სხვადასხვა პროდუქციის შეძენისას მომხმარებელი დააგროვებს ქულებს, რომელთაც, სურვილისამებრ, გადაცვლის სასურველ პროდუქტში.

საიტზე გააქტიურდება მულტივენდორის სისტემა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას მისცემს, დარეგისტრირდეს liloshop.ge-ს საიტზე და გაყიდოს მისთვის სასურველი პროდუქცია.

ვებგვერდი და აპლიკაცია

„ლილომალს“ აქვს საიტი www.lilomall.ge, რომლის განახლებაც იგეგმება 2018 წელს: ახალი ვებგვერდი უნდა გახდეს უფრო მარტივი, მოსახერხებელი და ინფორმაციული .

აპლიკაცია ებმის „ლილომალის“ საიტს, რომელიც ვებგვერდის განახლებასთან ერთად დაიხვეწება და შეუფერხებლად იმოქმედებს.

მობილური აპლიკაციის გადმოწერა და ინსტალაცია შესაძლებელია როგორც ანდროიდის, ისე - **IOS**-ში. აპლიკაციაში მომხმარებელი მიუთითებს სასურველ მაღაზიას ან პროდუქციას, ნავიგაციის ნომრის მიხედვით, და შეძლებს, გაეცნოს სასურველ ადგილამდე მისასვლელ მარშრუტს. აპლიკაციის მეშვეობით მოლის 350 000 კვ.მ ტერიტორია მოლის ვიზიტორის მობილურში აღმოჩნდება.

WI-FI „ლილომოლი“

„ლილომოლის“ ტერიტორიაზე იგეგმება უკაბელო ინტერნეტის გაყვანა, რაც მომხმარებლისთვის მეტ კომფორტს შექმნის. „ლილომოლის“ მობილური აპლიკაციის მეშვეობით მოსულ სტუმარს საშუალება ექნება, მისთვის სასურველ მაღაზიას მარტივად და ძალისხმევის გარეშე მიაგნოს.

აქედან გამომდინარე, WI-FI „ლილომოლის“ ვიზიტორისთვის და მეწარმისთვის ერთნაირად კომფორტული და სასარგებლო იქნება.

რეკლამა

2017 წლის კვლევებით დადგინდა, რომ „ლილომოლს“ აქვს ყველაზე დიდი “foot account” - ის ყველაზე მეტ ვიზიტორს მასპინძლობს. ამიტომ მარკეტინგის სამსახურმა გადაწყვიტა, მაქსიმალურად გამოიყენოს ეს გარემოება და დააინტერესოს სხვადასხვა გარეკომპანია და მოლის მეწარმეები რეკლამის გაკეთების აუცილებლობაში.

სად შეიძლება განთავსდეს რეკლამა „ლილომოლში“:

- ტერიტორიაზე შემოსვლის უფლება და ფლაერების დარიგება კონტროლირებადი და ფასიანი ხდება.
- ტერიტორიაზე განთავსებული მონიტორები
- ტერიტორიაზე განთავსებული ბანერები და ბილბორდები
- ლილო ტვ
- სპეციალური სარეკლამო რგოლის დამზადება ლილო ტვ-ს მეშვეობით.
- მეწარმეების მაღაზიების ფოტოგადაღების შეთავაზება, მოლის პოპულარულ სოციალურ ქსელში განთავსება და სხვ.

ინფორაცია ფინანსური
რისკების მართვასთან
დაკავშირებით სუბიექტის
მიზნებისა და პოლიტიკის
შესაბამისად

ლილო მოლის ყოველთვიური შემოსავლების სტაბილურობა და სიმყარე , იძლევა იმის საშუალებას , რომ კომპანიამ სამომავლო განვითარების გეგმები სისრულეში მოიყვანოს.

დასახული მიზნებისა და პოლიტიკის მისაღწევად, კომპანია ლილო მოლი გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში გამოიყენებს საკუთარ ფინანსურ რესურსებს.

რაც შეეხება მოკლევადიან და სწრაფად შესასრულებელ გეგმებს, შესაძლოა კომპანიამ ისარგებლოს საბანკო კრედიტით. მით უფრო, რომ შემოსავლების სტაბილურობა, იძლევა კომპანიაზე ბანკის მიერ გაცემული სესხების უპრობლემოდ დაფარვის გარანტიას.

ამ გარემოებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია მუდმივად ვიფიქროთ კომპანიის გაფართოვებასა და სამომავლო განვითარებაზე.

საკრედიტო , საბაზრო
ლიკვიდურობის და
ფინანსური ნაკადების
რისკების მიმოხილვა და
ინფორმაცია ამ რისკების
მართვის მექანიზმის შესახებ.

ქვეყანაში არსებული უცხოური ვალუტის მცოცავი კურსი თავისთავად წარმოადგენს ნებისმიერი ბიზნესის განვითარებისთვის რისკ-ფაქტორებს. ამ რისკების თავიდან ასაცილებლად კომპანია ლილო მოლმა საიჯარო ხელშეკრულებები დააფიქსირა უცხოურ მყარ ვალუტაში (ა.შ.შ დოლარში) და იჯარის თანხების გადახდა ხდება ეროვნული ვალუტაში დოლარის შესაბამის ეროვნული კურსით, რაც მთლიანი შემოსავლების 75% შეადგენს.

ამ ეტაპზე ლილო მოლის საკრედიტო ვალდებულება მის შემოსავლებთან მიმართებაში გონივრულად შეწონილია და მათი თანაფარდობა(ლიკვიდურობა) კომპანიისთვის არ წარმოადგენს სირთულეს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას გააჩნია სტაბილური შემოსავლები, მისი ინფრასტრუქტურული განვითარებისა და ტერიტორიული გაფართოვების მიზნით (მიწების შეძენა; ავტოსადგომების და სამშენებლო სამუშაოები და სხვა) საჭირო გახდა დამატებითი შემოსავლების მოძიება საკრედიტო ვალდებულების სახით.

პარტნიორ ბანკთან (ვი თი ბი ბანკი) თანამშრომლობის და მათ მიერ გაწეული კონსულტაციების და ანალიზის საფუძველზე აღებულმა საკრედიტო ვალდებულებამ, გაზარდა კომპანიის მოგება და კაპიტალი, რაც თავისთავად დადებითად აისახა ლილო მოლის განვითარების სამომავლო გეგმებზე.

ლილო მოლში განხორციელებული ინფრასტრუქტურული თუ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები გათვლილია მოიჯარეების და მომხარებლების ინტერესებზე დაყრდნობით.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

შენიშვნა : ლილო მოლს არ გააჩნია აქციები და შესაბამისად აქციების შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი მმართველობით ანგარიშგებაში.

The background features a series of concentric circles in a light beige color. Overlaid on these circles is a large, solid orange shape that resembles a stylized speech bubble or a callout box. This shape has a rectangular body and a small triangular point at the bottom center. Inside the orange shape, the text is written in white.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ბიზნესსექტორის ყველა წარმომადგენელმა განვითარებისა და წარმატების გზაზე უნდა განსაზღვროს რისკი და იზრუნოს მის დროულ ლიკვიდაციაზე.

„ლილომოლის“ სამომავლო ინფრასტრუქტურული, ფინანსური თუ მარკეტინგული საქმიანობის განვითარებას თან სდევს შემდეგი რისკფაქტორები:

- ბუნებრივი სტიქიური მოვლენები : წყალდიდობა, მიწისძვრა და ა.შ
- გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანი : ხანძარი
- ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური გარემოებები
- ინფლაცია, ვალუტის არასტაბილურობა
- კონკურენტების მიერ ფასების დემპინგი

„ლილომოლი“ წინასწარ ზრუნავს მაღალი რისკფაქტორების თავიდან ასაცილებლად:

- მოლის ტერიტორიაზე არსებული ყველა მაღაზია დაზღვეულია სტიქიურ უბედურებასა და ხანძარზე.
- შ.პ.ს „ლილო მოლის“ ქონება დაზღვეულია.
- მეიჯარეების ქონების თითქმის 100 % დაზღვეულია.
- ფინანსური ინფლაციისა და ვალუტის არასტაბილურობისგან გამოწვეული ზარალის თავიდან ასაცილებლად იჯარის თანხები ფიქსირდება უცხურ ი მყარი ვალუტით (ა.შ.შ.დოლარი)

ბიზნეს სექტორის ყველა წარმომადგენელმა განვითარებისა და წარმატების გზაზე უნდა განსაზღვროს რისკი და იზრუნოს მის დროულ ლიკვიდაციაზე.

„ლილომოლის“ სამომავლო ინფრასტრუქტურული, ფინანსური თუ მარკეტინგული საქმიანობის განვითარებას თან სდევს შემდეგი რისკფაქტორები:

- ბუნებრივი სტიქიური მოვლენები : წყალდიდობა, მიწისძვრა და ა.შ
- გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანი : ხანძარი
- ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური გარემოებები
- ინფლაცია, ვალუტის არასტაბილურობა
- კონკურენტების მიერ ფასების დემპინგი

„ლილომოლი“ წინასწარ ზრუნავს მაღალი რისკფაქტორების თავიდან ასაცილებლად:

- მოლის ტერიტორიაზე არსებული ყველა მაღაზია დაზღვეულია სტიქიურ უბედურებასა და ხანძარზე.
- შ.პ.ს „ლილო მოლის“ ქონება დაზღვეულია.
- მეიჯარეების ქონების თითქმის 100 % დაზღვეულია.
- ფინანსური ინფლაციისა და ვალუტის არასტაბილურობისგან გამოწვეული ზარალის თავიდან ასაცილებლად იჯარის თანხებ ფიქსირდება უცხურ ი მყარი ვალუტით (ა.შ.შ.დოლარი)

გენ. დირექტორი  გ.კვარაცხელია /



“შპს ლილო მოლი“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

კონსოლიდირებული მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10-48

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

შპს „ლილო მოლი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ლილო მოლის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოდგენილი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 3 ოქტომბერი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი

გიორგი კვარაცხელია

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა ანთაძე

შპს „ლილო მოლი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ლილო მოლის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოდებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 3 ოქტომბერი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერა:

გენერალური დირექტორი

გიორგი კვარაცხელია

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა ანთაძე



შპს „ლილო მოლი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლილო მოლის“ დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლილო მოლის“ (შემდგომში მშობელი კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს (შემდგომში - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება).

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ შპს „ლილო მოლის“ აუდიტორებად დავინიშნეთ 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, შესაბამისად ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას, რის გამოც ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2017 წლის ბოლოს და 2017 წლის დასაწყისში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 169,249 ლარი და 245,430 ლარის ოდენობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალური ფასეულობებთან დაკავშირებით, აგრეთვე კონსოლიდირებული მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების 2017 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებსა და შესადრის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

ჩვენ შპს „ლილო მოლის“ აუდიტორებად დავინიშნეთ 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, შესაბამისად ვერ დავაკვირდით წლის ბოლოს ჩატარებულ სალაროში არსებული ფულადი სახსრების გადათვლის პროცესს რის გამოც ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2017 წლის ბოლოს და 2017 წლის დასაწყისში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად ასახული იყო 363,939 ლარი და 368,564 ლარის ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებით, აგრეთვე კონსოლიდირებული მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სალაროში არსებული ფულადი სახსრების 2017 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებსა და შესადრის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის წმინდა აქტივები მოიცავს გუდვილს 1,695,919 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოიშვა კომპანიის მიერ 2014 წლის თებერვალში შპს „გიდარას“ 100%-იანი წილის შეძენისა და შემდგომ მისი შერწყმის შედეგად. შერწყმის შემდეგ შპს. „გიდარა“ გახდა შპს „ლილო მოლის“ შემადგენელი ნაწილი. გამომდინარე იქედან რომ ვერ მივიღეთ საკმარისი ინფორმაცია, შერწყმის თარიღისთვის შპს. „გიდარას“ ბალანსზე არსებული აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შესახებ, ჩვენ

ვერ შევძელით ჩაგვეტარებინა სათანადო აუდიტორული პროცედურები კომპანიის ბალანსზე არსებული გუდვილისა და მისი გაუფასურების დასადგენად. შესაბამისად შეუძლებელია განვსაზღვროთ აქვს თუ არა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გუდვილის კორექტირებას მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის წმინდა აქტივებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა აბზაცი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“). ფინანსური ანგარიშგების საწყისი ნაშთები და შესადრისი მონაცემები არ იყო აუდიტებული წინა პერიოდებში, რის გამოც ჩვენ ჩავატარეთ ალტერნატიული პროცედურები, როგორც ეს განსაზღვრულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პირველი წლის აუდიტის გარიგების დადების დროს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-

ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადანაწევრებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

3 ოქტომბერი 2018

არესემ საქართველო
მმართველი პარტნიორი
გიორგი კვინიკაძე

შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევსწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან აქვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოეთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

3 ოქტომბერი 2018

არესემ საქართველო
მმართველი პარტნიორი
გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia




შპს „ლილო მოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	15	31 375 743	28 378 217
საიჯარო შემოსავლების ანარიცხები		(36 330)	(53 330)
წმინდა შემოსავალი		31 339 413	28 324 887
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(1 655 679)	(1 162 397)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(9 797 981)	(9 351 415)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19	1 298 356	1 189 477
სხვა საოპერაციო ხარჯები	20	(231 916)	(134 938)
შედგები საოპერაციო საქმიანობიდან		20 952 193	18 865 613
არასაოპერაციო შემოსავალი	21	2 400 098	1 210 313
არასაოპერაციო ხარჯები	22	(1 616 869)	(140 686)
ფინანსური შემოსავალი	18	246 370	289 487
ფინანსური ხარჯები	14	(1 138 783)	(1 749 971)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	23	572 219	(1 519 174)
გაცემული სესხის გაუფასურება	6	131 466	(904 340)
მოგება დაბეგვრამდე		21 546 694	16 051 242
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(396 951)	(1 697 256)
წლის წმინდა მოგება		21 149 743	14 353 986
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში			
სულ სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		21 149 743	14 353 986

გენერალური დირექტორი

გიორგი კვარაცხელია

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა ანთაძე

შპს „ლილო მოლი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	15	31 375 743	28 378 217
საიტარო შემოსავლების ანარიცხები		(36 330)	(53 330)
წმინდა შემოსავალი		31 339 413	28 324 887
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(1 655 679)	(1 162 397)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(9 797 981)	(9 351 415)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19	1 298 356	1 189 477
სხვა საოპერაციო ხარჯები	20	(231 916)	(134 938)
შედგები საოპერაციო საქმიანობიდან		20 952 193	18 865 613
არასაოპერაციო შემოსავალი	21	2 400 098	1 210 313
არასაოპერაციო ხარჯები	22	(1 616 869)	(140 686)
ფინანსური შემოსავალი	18	246 370	289 487
ფინანსური ხარჯები	14	(1 138 783)	(1 749 971)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	23	572 219	(1 519 174)
გაცემული სესხის გაუფასურება	6	131 466	(904 340)
მოგება დაბეგვრამდე		21 546 694	16 051 242
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(396 951)	(1 697 256)
წლის წმინდა მოგება		21 149 743	14 353 986
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში			
სულ სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		21 149 743	14 353 986

გენერალური დირექტორი

გიორგი კვარაცხელია

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა ანთაძე



შპს „ლილო მოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	15 045 564	15 756 672	16 355 157
არამატერიალური აქტივები	8	1 759 903	1 795 918	1 769 625
საინვესტიციო ქონება	9	16 494 143	17 417 556	18 386 269
გაცემული სესხები	6	276 673	108 913	233 190
სულ გრძელვადიანი აქტივები		33 576 283	35 079 059	36 744 241
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	4	169 249	245 430	217 299
გაცემული სესხები	6	619 180	915 104	2 163 038
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2 134 020	2 002 459	1 707 377
წინასწარ გაწეული ხარჯები		470	500	-
ფული და ფულის ექვივალენტები	3	779 872	598 544	243 522
სხვა აქტივები	10	66 169	155 781	83 035
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 768 960	3 917 818	4 414 276
სულ აქტივები		37 345 244	38 996 877	41 164 145
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	1 806 580	1 806 580	1 806 580
გაუნაწილებელი მოგება		20 722 581	15,788,639	16 256 064
სულ კაპიტალი		22 529 161	17 595 219	18 062 644
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	14	8 741 797	538 108	17 581 672
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8 741 797	538 108	17 581 672
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2 627 285	1 094 898	2 250 470
მოკლევადიანი სესხები	14	3 447 001	19 768 653	3 269 359
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6 074 286	20 863 550	5 519 829
სულ ვალდებულებები		14 816 083	21 401 659	23 101 501
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		37 345 244	38 996 877	41 164 145

გენერალური დირექტორი

გიორგი კვარაცხელია

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა ანთაძე

შპს „ლილო მოლი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	15 045 564	15 756 672
არამატერიალური აქტივები	8	1 759 903	1 795 918
საინვესტიციო ქონება	9	16 494 143	17 417 556
გაცემული სესხები	6	276 673	108 913
სულ გრძელვადიანი აქტივები		33 576 283	35 079 059
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	4	169 249	245 430
გაცემული სესხები	6	619 180	915 104
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2 134 020	2 002 459
წინასწარ გაწეული ხარჯები		470	500
ფული და ფულის ექვივალენტები	3	779 872	598 544
სხვა აქტივები	10	66 169	155 781
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 768 960	3 917 818
სულ აქტივები		37 345 244	41 164 145
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	1 806 580	1 806 580
გაუნაწილებელი მოგება		20 722 581	15,788,639
სულ კაპიტალი		22 529 161	17 595 219
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	8 741 797	538 108
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8 741 797	538 108
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2 627 285	1 094 898
მოკლევადიანი სესხები	14	3 447 001	19 768 653
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6 074 286	20 863 550
სულ ვალდებულებები		14 816 083	21 401 659
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		37 345 244	41 164 145

გენერალური დირექტორი

გიორგი კვარაცხელია

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა ანთაძე



შპს „ლილო მოლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ფასს-ის დანერგვამდე)	11	1 806 580	16 256 064	18 062 644
კორექტირება		-	-	-
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	11	1 806 580	16 256 064	18 062 644
სულ პერიოდის მოგება/(ზარალი)		-	14 353 986	14 353 986
გადახდილი დივიდენდები		-	(14 821 411)	(14 821 411)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11	1 806 580	15 788 639	17 595 219
სულ პერიოდის მოგება/(ზარალი)		-	21 149 743	21 149 743
გადახდილი დივიდენდები		-	(16 215 800)	(16 215 800)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11	1 806 580	20 722 582	22 529 162

გენერალური დირექტორი

გიორგი კვარაცხელია

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა ანთაძე


შპს „ლილო მოლი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ფასს-ის	11	1 806 580	16 256 064	18 062 644
კორექტირება		-	-	-
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	11	1 806 580	16 256 064	18 062 644
სულ პერიოდის მოგება/(ზარალი)		-	14 353 986	14 353 986
გადახდილი დივიდენდები		-	(14 821 411)	(14 821 411)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11	1 806 580	15 788 639	17 595 219
სულ პერიოდის მოგება/(ზარალი)		-	21 149 743	21 149 743
გადახდილი დივიდენდები		-	(16 215 800)	(16 215 800)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11	1 806 580	20 722 582	22 529 162

გენერალური დირექტორი

გიორგი კვარაცხელია



მთავარი ბუღალტერი

ხათუნა ანთაძე




შპს „ლილო მოლი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/ზარალი:		21 546 694	16 051 242
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	17	2 674 197	2 624 797
ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალი	7; 9	995,157	(4 164)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი	23	(572 219)	1 519 174
საპროცენტო შემოსავალი	18	(246 370)	(289 487)
საპროცენტო ხარჯი		1 138 783	1 749 971
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე			
ცვლილება მარაგებში	4	(857 495)	(543 619)
ცვლილება წინასწარ გაწეულ ხარჯებში		30	(500)
ცვლილება გაცემულ სესხებში	6	374 534	1 667 331
ცვლილება სხვა აქტივებში		89 612	(72 746)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	5	(106 725)	(237 467)
ცვლილება მიღებულ სესხებში		(7 572 420)	(2 103 184)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	13	1 527 843	(1 154 785)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		18 991 621	19 206 563
გადახდილი პროცენტი		(1 129 252)	(1 734 448)
გადახდილი მოგების გადასახადი		(396 951)	(1 697 256)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული)		14,465,418	15 774 859
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების გაყიდვა	7; 9	1 770 588	116 099
ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების შეძენა	7, 9	(2 881 364)	(627 555)
არამატერიალური აქტივების შეძენა	8	(17 367)	(52 783)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი		(1 065 143)	(564 239)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები	11	(16 215 800)	(14 821 411)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		(16 215 800)	(14 821 411)
ფული და ფულის ექვივალენტები			
1 იანვრის მდგომარეობით		598 544	243 522
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		184 475	389 209
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(3 147)	(34 187)
31 დეკემბრის მდგომარეობით	3	779 872	598 544

გენერალური დირექტორი

გიორგი კვარაცხელია

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა ანთაძე

შპს „ლილო მოლი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/ზარალი:		21 546 694	16 051 242
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	17	2 674 197	2 624 797
ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალი	7; 9	995,157	(4 164)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი	23	(572 219)	1 519 174
საპროცენტო შემოსავალი	18	(246 370)	(289 487)
საპროცენტო ხარჯი		1 138 783	1 749 971
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე			
ცვლილება მარაგებში	4	(857 495)	(543 619)
ცვლილება წინასწარ გაწეულ ხარჯებში		30	(500)
ცვლილება გაცემულ სესხებში	6	374 534	1 667 331
ცვლილება სხვა აქტივებში		89 612	(72 746)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	5	(106 725)	(237 467)
ცვლილება მიღებულ სესხებში		(7 572 420)	(2 103 184)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	13	1 527 843	(1 154 785)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		18 991 621	19 206 563
გადახდილი პროცენტი		(1 129 252)	(1 734 448)
გადახდილი მოგების გადასახადი		(396 951)	(1 697 256)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული)		14,465,418	15 774 859
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების გაყიდვა	7; 9	1 770 588	116 099
ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების შეძენა	7, 9	(2 881 364)	(627 555)
არამატერიალური აქტივების შეძენა	8	(17 367)	(52 783)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი		(1 065 143)	(564 239)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები	11	(16 215 800)	(14 821 411)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		(16 215 800)	(14 821 411)
ფული და ფულის ექვივალენტები			
1 იანვრის მდგომარეობით		598 544	243 522
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		184 475	389 209
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(3 147)	(34 187)
31 დეკემბრის მდგომარეობით	3	779 872	598 544

გენერალური დირექტორი

გიორგი კვარაცხელია

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა ანთაძე



(Handwritten signatures in blue ink)

შპს „ლილო მოლი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

მშობელი კომპანია:

შპს „ელსავაკო“, საიდენტიფიკაციო ნომრით 28150506, დარეგისტრირდა 1995 წლის 21 დეკემბერს საქართველოში. 2011 წლის მაისში შპს „ელსავაკომ“ შეიცვალა სახელწოდება და გახდა შპს „ლილო მოლი“ (შემდგომში „კომპანია“). 2008 წლის დეკემბერში კომპანიამ მოაღწია შერწყმა შპს „სეტ-ლი“, ხოლო 2014 წლის 2 მარტს - შპს „გიდარა“. კომპანიის იურიდიული მისამართია კახეთის გზატკეცილი 112, თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საიჯარო მომსახურება და ბაზრობის მოწყობა.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის კომპანიაში დასაქმებულთა რიცხვა შეადგინა 342 (2016: 347).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მესაკუთრე	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
გია ანდლულაძე	14.285%	14.285%
იოსებ საყვარელიძე	14.285%	14.285%
ილია შონია	13.79%	13.79%
ვაჟა უსანეთაშვილი	13.285%	13.285%
გიორგი გაგუა	11.285%	11.285%
თენგიზ გავაშელი	11%	11%
კონსტანტინე კაპანაძე	8.525%	8.525%
დავით კაპანაძე	4.76%	4.76%
დარჩენილი მესაკუთრეები	8.785%	8.785%

შვილობილი კომპანიები:

შპს „ლილო კაპიტალი“ (შემდგომში „შვილობილი“) საიდენტიფიკაციო ნომრით 406098119, დარეგისტრირდა 2013 წლის 10 ივლისს საქართველოში. შვილობილის იურიდიული მისამართია კახეთის გზატკეცილი 112, თბილისი საქართველო. შვილობილის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სესხების გაცემა, თუმცა შვილობილი არ ფლობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსს. შპს „ლილო მოლი“ ფლობს შვილობილის 100%-ს

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შვილობილში დასაქმებულთა რიცხვა შეადგინა 12 (2016: 12; 2015: 12)

შპს „ლილო ტვ“ (შემდგომში „შვილობილი“) საიდენტიფიკაციო ნომრით 406170307, დარეგისტრირდა 2016 წლის 25 თებერვალს საქართველოში. შვილობილის იურიდიული მისამართია კახეთის გზატკეცილი 112, თბილისი საქართველო. შვილობილი წარმოადგენს სამაუწყებლო კომპანიას. შპს „ლილო მოლი“ ფლობს შვილობილის 100%-ს.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შვილობილში დასაქმებულთა რიცხვა შეადგინა 7 (2016: 7)

შპს „ლილო მოლი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

შპს „ლილო ჩარტერი“ (შემდგომში „შვილობილი“) საიდენტიფიკაციო ნომრით 406167142, დარეგისტრირდა 2016 წლის 25 იანვარს საქართველოში. შვილობილის იურიდიული მისამართია კახეთის გზატკეცილი 112, თბილისის საქართველო. შვილობილი აქირავებს ადგილს მიკროავტობუსებისათვის. შპს „ლილო მოლი“ ფლობს შვილობილის 100%-ს.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შვილობილში დასაქმებულთა რიცხვმა შეადგინა 6 (2016: 7)

შპს „ლილო პროდაქტ სერვისი“ (შემდგომში „შვილობილი“) საიდენტიფიკაციო ნომრით 406188860, დარეგისტრირდა 2016 წლის 10 ოქტომბერს საქართველოში. შვილობილის იურიდიული მისამართია კახეთის გზატკეცილი 112, თბილისის საქართველო. შვილობილის ძირითადი საქმიანობაა ელექტრონული ვაჭრობა. შპს „ლილო მოლი“ ფლობს შვილობილის 100%-ს.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შვილობილში დასაქმებულთა რიცხვმა შეადგინა 19.

შპს „ჰელს მოლი“ (შემდგომში „შვილობილი“) საიდენტიფიკაციო ნომრით 406054549, დარეგისტრირდა 2011 წლის 13 სექტემბერს საქართველოში. შვილობილის იურიდიული მისამართია კახეთის გზატკეცილი 112, თბილისის საქართველო. „ლილო მოლი“ ფლობს შვილობილის 75%-ს. შვილობილმა შეაჩერა საქმიანობა 2012 წლის 1 იანვარს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „ლილო მოლის“ და მისი შვილობილების: შპს „ლილო კაპიტალის“, შპს „ლილო ტვ“-ის, შპს „ლილო ჩარტერის“ და შპს „ლილო პროდაქტ სერვისის“ (შემდგომში „ჯგუფი“) იმისათვის რომ შეფასდეს მფლობელობის ცვლილების შედეგად წარმოქმნილი შედეგები, კომპანიის პოლიტიკაა რომ კონსოლიდირება გაუკეთოს საქმიანობების შედეგებს იმ დღიდან როდესაც მოხდა მფლობელობისა და კონტროლის გადასვლა

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ორგანიზაციის მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად პირველად მოხდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. შესაბამისად, ორგანიზაციამ მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს პერიოდებზე დაწყებული 2017 წლის 1 იანვრიდან და შემდგომ პერიოდში. ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, ჯგუფმა საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა საუკეთესო ცოდნა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების ისევე როგორც სააღრიცხვო პოლიტიკის რათა მოემზადებინა ფასს-თან სრულად შესაბამისობაში მყოფი პირველი ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომანიის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პრინციპები და პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით),

განმარტებითი შენიშვნები

რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

ჯგუფმა მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინფორმაციის კლასიფიცირება ხდება მიმდინარე და გრძელვადიანობის საფუძველზე.

შეფასების საფუძველი

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ 2017 წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებებზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით ან ოპციონის ფასის გამოთვლის მოდულებით, რომლებიც ასახავს ემიტენტის გარკვეულ გარემოებებს). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა შემდეგი ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტების გამოყენება 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური

განმარტებითი შენიშვნები

წლისთვის.

ცვლილებები ბასს-7- ში სახელწოდებით *Disclosure Initiative* (გამოშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებები სტანდარტში, ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და მომდევნო პერიოდებს, რომელიც მოითხოვს კომპანიების მიერ ინფორმაციის გამჟღავნებას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის, იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა კომპანიაში ფინანსური აქტივობებიდან. ზემოთაღნიშნულს არ ექნება მატერიალური გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს-12 *გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი არარეალიზებული ზარალისთვის* (გამოშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებები ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს, რომ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი - დაკავშირებული სავალო ვალდებულებით გამოწვეულ არარეალიზებული ზარალთან უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით, პრაქტიკაში განსხვავების დასაფიქსირებლად. სავარაუდოა, რომ ზემოთაღნიშნულს არ ექნება გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა შემდეგი ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტების გამოყენება 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

- IAS 28-ში შესული ცვლილებები (2014-2016 პერიოდის ფასს სტანდარტების ყოველწლიური ცვლილებები, გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ნებადართულია ადრეული გამოყენება), აზუსტებს: მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციების, ასევე ინვესტიციების ერთობლივი საქმიანობაში, რომელიც განხორციელებულია ვენჩურული კაპიტალის მქონე, საერთო ფონდების, ან სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციების მიერ, უფლება აქვთ თითოეული ზემოთმოხსენებული ინვესტიცია თავდაპირველი აღიარებისას აღიაროს სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით. ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- IAS 40-ში შესული ცვლილებები (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და პერიოდის შემდეგ (ნებადართულია ადრეული გამოყენება), განმარტავს, რომ საინვესტიციო ქონების კლასიფიკაცია სხვა მუხლებში, ან პირიქით სხვა მუხლებიდან საინვესტიციო ქონებაში კლასიფიკაცია მხოლოდ მაშინ უნდა განხორციელდეს (მათ შორის იმ აქტივებისა რომლებიც არის მშენებლობის და განვითარების სტადიაში) როდესაც არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ქონების გამოყენების შინაარსის ცვლილება მოხდა. ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილებები ფასს-2 კლასიფიკაცია და შეფასება წილობრივი გადახდების ტრანზაქციებზე (გამოცემულია 2016 წლის ივნისში). ცვლილებები, ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს ვესტირების და არავესტირების ეფექტებს აქციაზე დაფუძნებული გადახდის(ადგ) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაზე, (ადგ)-ს აღრიცხვისას ნეტო საგადასახადო თვისებაზე საშემოსავლო გადასახადის ვალდებულების თვალსაზრისით და (ადგ)-ს პირობების მოდიფიკაციაზე, რომელიც უცვლის ტრანზაქციას კლასიფიკაციას ნაღდი ფულზე დაფუძნებულიდან კაპიტალზე დაფუძნებულზე. მოსალოდნელი არაა, რომ ზემოთაღნიშნულს მატერიალური ეფექტი ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე.
- ცვლილებები ფასს-4-ში სახელწოდებით ფასს-9 ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელება ფასს-4 სადაზღვევო კონტრაქტებზე (გამოშვებული 2016 წლის სექტემბერში) ცვლილებების მიხედვით კომპანიები რომლებიც უშვებენ სადაზღვევო კონტრაქტებს აქვთ უფლება შემოსულობა ან ზარალი აღიარონ - სხვა

განმარტებითი შენიშვნები

სრულ შემოსავალში და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მერყეობა რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფასს-9-ის გავრცობამ ფასს-4-ზე პროექტდება კომიტეტის მიერ. ასევე კომპანიებს, რომელთა აქტივობები განსაკუთრებულადაა დაკავშირებული სადაზღვევო საქმიანობასთან დროებითი გამონაკლისის სახით შეეძლება არ გადავიდნენ ფასს-9-ზე (2021 წლამდე) და ამგვარად დარჩნენ ბასს-39-ზე. ჯგუფს არ გამოუშვია სადაზღვევო კონტრაქტები, შესაბამისად ცვლილებებს არ ექნება ეფექტი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ფასს 10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების შეძენა/ გაყიდვა“ (გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილებები, ეხება ორ სტანდარტს შორის არსებულ შეუთავსებლობას და განმარტავს, რომ მოგება ან ზარალი სრულად უნდა იქნას აღიარებული, როდესაც ტრანზაქციაში ჩართულია ბიზნესი, და ნაწილობრივად, თუ მასში ჩართულია აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს. ამ ცვლილების ამოქმედების დღე თავდაპირველად იყო 2016 წლის 1 იანვარი, მაგრამ გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მისი ადრეული გამოყენება ჯერ კიდევ ნებადართულია. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი სტანდარტები

- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოიცა 2014 წლის ივლისში) – ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისათვის.
 - ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავალში) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.
 - ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში), გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული ინვესტ სააღრიცხვო შეუსაბამობას.
 - ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელი, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.
 - ჰეჯირების აღრიცხვისთვის, ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებებში უკეთ აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესაც ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.
 - აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-იდან.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ფასს 9 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. ამ ეტაპზე ჯგუფი არის შეფასების პროცესში თუ რა გავლენას მოახდენს ფასს 9-ზე გადასვლა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ დასრულდება დეტალური მიმოხილვა. სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან.

განმარტებითი შენიშვნები

- ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს. იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ: როდის ხდება შემოსავლის აღიარება, ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები, და სხვ.). მენეჯმენტის მოლოდინით, ფასს 15 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და აპირებენ რომ გამოიყენონ მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომის მეთოდი და შედეგებს ასახავენ 2018 წლის 1 იანვრის საწყის დაგროვილ მოგებაზე. მას შემდეგ რაც სტანდარტი შევა ძალაში 2018 წლის 1 იანვარს. მიუხედავად იმისა რომ მენეჯმენტი ჯერ კიდევ განსაზღვრავს ფასს 15 ის გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ არის მიზანშეწონილი განხილულ იქნას ფინანსური დაშვებების ეფექტი სანამ მენეჯმენტი არ განახორციელებს სრულყოფილ და დეტალურ მიმოხილვას.
- ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. მენეჯმენტის აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს ჯგუფი, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა..
- ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოთხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფს არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კონსოლიდაციის საფუძველი:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი არის კომპანია რომელიც კონტროლდება დამფუძნებელი კომპანიის მიერ. კონტროლი ხორციელდება როდესაც დამფუძნებელს პირდაპირ ან ირიბად შეუძლია გავლენა მოახდინოს შვილობილი კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკაზე სარგებლის მღების მიზნით.

შვილობილი კომპანიის ფინანსური მონაცემები ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში იმ თარიღის შემდეგ როდესაც მშობელ კომპანიას გაუჩნდა კონტროლის უფლება და წყდება იმ დღეს, როდესაც დედა კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქითება მთლიანად.

განმარტებითი შენიშვნები

ჯგუფი მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებად შემდეგ შვილობილებს:

შვილობილი	წილის ოდენობა
შპს „ლილო კაპიტალი“	100%
შპს „ლილო ტვ“	100%
შპს „ლილო ჩარტერი“	100%
შპს „ლილო პროდაქტ სერვისი“	100%

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლები და ხარჯები აღიარებულია დარიცხვის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება, მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს საქონელზე ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს, საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს ახორციელებს; შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა; მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასანავი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საიჯარო შემოსავალს მომსახურების გაწვიდან აღიარდება მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდ შესაძლებელია; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდ შესაძლებელი და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასანავი ხარჯები.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი ყველა სავალ ინსტრუმენტისთვის აღირიცხება დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. მეთოდი განმარტავს, რომ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში ასახულია ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შორის წარმოქმნილი ყველა დანახარჯი, ყველა ტრანზაქციული დანახარჯი, ასევე ნებისმიერი ფასდაკლება ან დანამატი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მოიცავს ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წარმოქმნასთან, შეძენასთან ან გადაცემასთან დაკავშირებულ გადახდილ და მისაღებ თანხებს, მაგალითად გადახდისუნარიანობის, გარანტიებისა და გირაოს შეფასებას, მოლაპარაკების და დოკუმენტების დამუშავებასთან დაკავშირებულ ტრანზაქციულ დანახარჯებს.

როდესაც სესხის ან სხვა სავალ ინსტრუმენტების ამოღება საეჭვო ხდება, ჩამოიწერება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე და საპროცენტო შემოსავალი არის აღიარებული მიმდინარე ღირებულების შემცირების გათვალისწინების გარეშე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით, რომელიც გაუფასურების ზარალის გასაზომად გამოვიყენეთ.

სხვა თანხები, როგორცაა საკომისიო გადასახდელები და სხვა საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება დარიცხვის მეთოდით, შესრულებული სამუშაოს მიხედვით პროპორციულად.

საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან

შპს „ლილო მოლი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

ზარალი წრფივი მეთოდით საიტარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც საიტარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიტარო პერიოდის განმავლობაში.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იქმნება რეზერვი საოპერაციო იჯარის არახელსაყრელი ელემენტის მიმდინარე ღირებულების ოდენობით. აღნიშნული წარმოიშობა, როდესაც ჯგუფი წყვეტს შენობა-ნაგებობების გამოყენებას და ისინი ვაკანტური რჩება იჯარის დასრულებამდე ან ქვეიჯარით გააქირავებს მათ საიტარო გადასახადის სანაცვლოდ, რომელიც ნაკლებია კომპანიის მიერ იჯარის ხელშეკრულების თანახმად გადასახდელ თანხაზე.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნორჩენი ღირებულების გამოკლებით, ცვეთის ნორმები განისაზღვრება შემდეგნაირად:

შენობები - ნაგებობები	5%
ქსელები და სისტემები	8% - 20%
ეზოს კეთილმოწყობა	5%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5%
მანქანა- დანადგარები	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
სხვა ძირითადი საშუალებები	15%

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებას ფლობენ საიტარო შემოსავალის მისაღებად და/ ან კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად. თავდაპირველად საინვესტიციო ქონება აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯი (მაგალითად პროფესიული იურიდიული მომსახურების ჰონორარს, გადასახადს ქონების გადაცემაზე და გარიგების სხვა ხარჯებს).

შემდგომ, საინვესტიციო ქონება აღირიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გამოკლებული სააღრიცხო თარიღისათვის არსებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგ ნორმებით:

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნები 5%

კონტინენტები 5%

სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შეცვლა ხდება, ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონების აღირების გაუქმება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება აქტივის გასვლა/გაყიდვა ან საინვესტიციო ქონება ამოღებულია მუდმივი გამოყენებიდან და არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი მისი გაყიდვიდან. სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში როდესაც მოხდა აქტივის აღიარების გაუქმება.

ქონების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში ან პირიქით, შეიძლება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იცვლება ქონების გამოყენების ხასიათი. საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების კატეგორიაში, აღრიცხვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება, ქონების გამოყენების ხასიათის ცვლილების დღისათვის არსებული სამართლიანი ღირებულებით. თუ მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონებია ხდება საინვესტიციო ქონება.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარება ხორციელდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. დაშვებები სასარგებლო მომსახურების ვადასა და ამორტიზაციის მეთოდზე გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის არამატერიალური აქტივებისათვის, ამორტიზაცია გამოიანგარიშება, როგორც სხვაობა აქტივის ღირებულებასა და სავარაუდო ნარჩენ ღირებულებას შორის გაყოფილი სასარგებლო მომსახურების ვადაზე, რომელიც დაანგარიშებულია ამორტიზაციის წრფივი, 15%-იანი ნორმით.

განუსაზღვრებული სასარგებლო მომსახურების ვადის არამატერიალური აქტივები არ ამორტიზდება, მაგრამ ხდება მათი გაუფასურების ტესტირება ქვემოთ მოცემული პრინციპით.

საწარმოთა გაერთიანებები და გუდვილი

საწარმოების გაერთიანებისას გამოიყენება შეძენის მეთოდი. შეძენის ღირებულება ფასდება როგორც შეძენის დღისთვის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მთლიანი გადაცემული ანაზღაურებისა და შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არასაკონტროლო წილის მოცულობის ჯამი. თითოეული გაერთიანების შემთხვევაში

განმარტებითი შენიშვნები

ჯგუფი აფასებს შეძენილ საწარმოში არასაკონტროლო წილს სამართლიანი ღირებულების ან შეძენილ საწარმოს წმიდა აქტივების პოროპორციული წილის მიხედვით და არასაკონტროლო წილის სხვა კომპონენტებს მათი შეძენის დღეს სამართლიანი ღირებულებებით. შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

თუ საწარმოების გაერთიანება ხორციელდება ეტაპობრივად, შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე ფლობილი წილების სამართლიანი ღირებულება შეძენის დღეს ხელახლა გადაფასდება შეძენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის საშუალებით. შემდეგ ეს გათვალისწინებულია გუდვილის განსაზღვრებაში.

გუდვილი თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც აღემატება არასაკონტროლო წილებთან დაკავშირებით აღიარებული თანხის და გადარიცხული თანხის ჯამს და ნებისმიერ მანამდე ფლობილ წილთან, ჯგუფის წმინდა შეძენილ აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება აღემატება აღნიშნულ გადარიცხულ თანხას, ჯგუფი განმეორებით შეაფასებს სწორად მოახდინა თუ არა ყველა შეძენილი აქტივის და აღებული ვალდებულებების იდენტიფიკაცია და განიხილავს გამოყენებულ პროცედურებს შეძენის დღეს ასაღიარებელი თანხების შეფასებისთვის. თუ განმეორებით შეფასებისას შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება კვლავ აღემატება გადარიცხულ თანხებს, მაშინ მოგება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ გუდვილი ფასდება თვითღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი დაგვროვილი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. გაუფასურების შემოწმების მიზნით, საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი გუდვილი შეძენის თარიღისთვის გადაეცემა ჯგუფის ფულადი სახსრების წარმომქმნელ თითოეულ ერთეულს, რომლებიც ვარაუდის მიხედვით სარგებელს ნახავენ ამ გაერთიანებით, მიუხედავად იმისა შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები ან ვალდებულებები მიეკუთვნება თუ არა ამ ერთეულებს.

თუ გუდვილი წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის და ოპერაციის ნაწილს, რომელიც ხორციელდება ამ ერთეულში, შეწყდება, მასთან დაკავშირებული გუდვილი აისახება ამ ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში, მოგების ან ზარალის განსაზღვრისას. ასეთ გარემოებებში გუდვილი შეფასდება ოპერაციის და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შესადარი ღირებულებების საფუძველზე.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანაკარგები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო მეთოდის გამოყენებით.

გაცემული სესხები და მოთხოვნები

კლიენტებზე გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება, როდესაც ჯგუფი გასცემს თანხას კლიენტზე არაკვოტირებული არადერივატიული დებიტორული დავალიანების შესყიდვის ან წარმოქმნის მიზნით, რომელიც გადასახდელია დადგენილ ან განსაზღვრულ ვადებში და არ აქვს დებიტორული დავალიანების გაყიდვის განზრახვა. გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღირიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი

განმარტებითი შენიშვნები

ალირიცხება მოგება-ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი შემთხვევის დადგომის შედეგად („ზარალის შემთხვევები“), რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარუდო მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობაზე და დაფარვის დროზე, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის გამოწვეული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული დაყოვნების გამო;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებად. ეს მახასიათებლები მოიცავს აქტივთა ჯგუფების მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასებას, რომელიც აჩვენებს მსესხებლების უნარს ყველა ვადადამდგარი თანხის დაფარვა განახორციელონ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

მომავალი ფულადი ნაკადები იმ ფინანსურ აქტივებში, რომელთა გაუფასურებაზე შეფასებაც ერთობლივად ხორციელდება, იანგარიშება ამ აქტივების სახელშეკრულებო პირობების შედეგად მისაღები ფულადი სახსრების და ხელმძღვანელობის წარსული გამოცდილების საფუძველზე გაკეთებული შეფასებით, ზარალის შემთხვევის შედეგად თუ რა ოდენობა სესხებისა მოხვდება ვადაგადაცილებაში და რამდენად წარმატებულად მოხდება ვადაგადაცილებული ოდენობის დაფარვა. წარსულის გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე იმ არსებული პირობების შედეგების ასახვის მიზნით, რომლებმაც გავლენა არ მოახდინა გასულ პერიოდებზე და წარსული პირობების იმ შედეგების გამოსარიცხად, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება შეფასდება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც არ შედის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებამდე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, მინუს უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

განმარტებითი შენიშვნები

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორიცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, რომელიც ასახავს ჰპოვებს მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ამოუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ანარიცხის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ორგანიზაცია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) მ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვამდე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას გაასხვისებს, ამოიწურება სახელშეკრულებო უფლება ფინანსური სარგებლის მიღების შესახებ ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ახდენს შემდეგ კატეგორიებად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგება ან ზარალში ასახვით (FVTPL) აქტივები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო აქტივები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც გამოიყენება ეფექტური ჰეჯირებისათვის) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად.

FVTPL ფინანსური აქტივების ხელახალი შეფასებისას წარმოქმნილი მოგება ან ზარალი მოიცავს ნებისმიერ

განმარტებითი შენიშვნები

დივიდენდს ან გამომუშავებულ საპროცენტო სარგებელს და აღიარდება მოგება-ზარალში.

